ევროკავშირის პოლიტიკა ყარაბახის კონფლიქტის მიმართ

ქეთევან მახარაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე კავკასიის კვლევების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

კავკასიის კვლევები

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ვლადიმერ კიკილაშვილი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2016

ანოტაცია

ნაშრომი შეეხება ევროკავშირის პოლიტიკას ყარაბახის კონფლიქტის მიმართ. კვლევის მიზანია პასუხი გაეცეს კითხვას იმის შესახებ, თუ რა განაპირობებს ევროკავშირის პასიურობას ყარაბახის კონფლიქტის მოგვარების პროცესში. ნაშრომში ჰიპოტეზის სახით ვამტკიცებ, რომ ყარაბახის კონფლიქტის მოგვარებაში მონაწილეობის სარგებელი-დანახარჯების გათვალისწინებით, ევროკავშირისათვის უფრო მისაღებია არსებული სტატუს ქვოს შენარჩუნება. კონფლიქტის მოგვარებაში მონაწილეობის სარგებელ-დანახარჯები დამოუკიდებელი ცვლადია, რომელიც განსაზღვრავს ევროკავშირის კონფლიქტის მოგვარებაში მონაწილეობა-არმონაწილეობას ანუ დამოკიდებულ ცვლადს.

კვლევის პროცესში ვიყენებდი მონოგრაფიული გამოკვლევის ერთ-ერთ მოდელს, რომელიც ცნობილია როგორც ,,თეორიის დამამტკიცებელი". ასევე, საკვლევი საკითხიდან გამომდინარე გამოვიყენე შედარების მეთოდი, კონტენტ და დისკურს-ანალიზი. ზემოხსენებული ჰიპოტეზის ასახსნელად გამოვიყენე რაციონალური არჩევანის თეორია, რომლის ფარგლებში არაერთი ნაშრომია დაწერილი, თუმცა ყურადღება გავამახვილე მარკ პოლაკის სტატიაზე ,,რაციონალური არჩევანი და ევროკავშირის პოლიტიკა", როგორც ამ კუთხით ყველაზე სიღრმისეულ და ყოვლისმომცვლელი კვლევაზე.

Abstract

The master's thesis is about the EU's policy towards Karabakh conflict. The aim of the research is to answer the question about what is the reason the EU's passiveness in the process of Karabakh conflict resolution. I am going to prove that according to the cost-benefit analysis of involvement in Karabakh conflict resolution, it is more reasonable for the EU to preserve the status quo. The cost-benefits of the EU's participation in Karabakh conflict resolution is my independent variable and it defines the EU's involvement/non involvement in conflict resolution, wich is my depedent variable.

In this paper I use several research methods, including Case Study, Comparative method, Content and Discourse-analysis. I am going to explain my hyphotesis with the help of Rational Choice theory. There are many studies within this theory, but I have concentrated on Mark Pollack's article named "Rational Choice and EU politics".